



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №4

2017 წლის 13 იანვარი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ჟანგბადის კონცენტრატორის (ხელოვნური სუნთქვის აპარატი - Oxygen Concentrator SL05 ) აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით, საჭიროებისამებრ 6 (ექვსი) თვის ვადით, სოფელ საგურამოში რეგისტრირებული მოქალაქე ვალიკო ლაბაურისთვის (პ/ნ №31001033896) გადასაცემად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 11 იანვრის №07/2/448 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - ჟანგბადის კონცენტრატორი (ხელოვნური სუნთქვის აპარატი - Oxygen Concentrator SL05) აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით, საჭიროებისამებრ 6 (ექვსი) თვის ვადით, გადასცეს სოფელ საგურამოში რეგისტრირებულ მოქალაქე ვალიკო ლაბაურს (პ/ნ №31001033896) მისი მეუღლის ვენერა ლაბაურისთვის (პ/ნ №31001034001) მუდმივი ოქსიგენოთერაპიისათვის.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი